

დამხმარე მასწავლებლების მუშაობის ეფექტურობის ზრდა

თეა ბერიძე, გვანცა რობაქიძე, მარიამ ობოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება (სკოლის ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი”.

თეა ბერიძე

მარიამ ოზოლაძე

გვანცა რობაქიძე

21.06.2018

აბსტრაქტი

წარმოდგენილი პრაქტიკის კვლევა ჩატარდა თბილისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში დამხმარე მასწავლებლების მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. სკოლაში დამხმარე მასწავლებელი არ მოიაზრება საგნის პედაგოგად, ის პასუხისმგებელია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, ასევე, მათ პიროვნულ, ფიზიკურ და სოციალურ განვითარებაზე. დამხმარე მასწავლებელზე დიდწილადაა დამოკიდებული აკადემიურ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა. მის მოვალეობაში ასევე შედის მოსწავლეთა მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია.

პრაქტიკის კვლევა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: პრობლემების იდენტიფიცირება, ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება, მიღებული შედეგების გაანალიზება. კვლევა შერეული ტიპისაა, მოიცავს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს. კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციის წევრებთან, ფოკუს-ჯგუფები ძირითად და დამხმარე მასწავლებლებთან, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის ძირითად და დამხმარე მასწავლებლებთან, აგრეთვე მშობლებთან.

გამოიკვეთა რამდენიმე სახის პრობლემა: კადრების შენარჩუნება და ხშირი გადინება, დამხმარე მასწავლებლების გაუმართავი სამუშაო აღწერის დოკუმენტი, კოლეგებთან შეუთანხმებელი მუშაობა და მშობლებთან კომუნიკაციის არაეფექტური ფორმა.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად საკვლევ კომისიასთან შეთანხმებით, დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ინტერვენციები. განმეორებითი კვლევის ჩატარებამ ნათელი გახადა, რომ ინტერვენციებმა დადებითი შედეგი გამოიღო: გადამუშავდა დამხმარე მასწავლებელთა სამუშაო აღწერის დოკუმენტი, გაიზარდა მათი ჩართულობის ხარისხი საგაკვეთილო პროცესში, გაუმჯობესდა მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, დამხმარე მასწავლებლებმა აიმაღლეს კომპეტენცია კლასისა და რთული ქცევის მართვის სფეროში, მშობლებისა და

დამხმარე მასწავლებლების კომუნიკაცია გახდა პერმანენტული და გაცილებით ეფექტური. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაიზარდა მათი კმაყოფილება სამუშაოს მიმართ, გარკვეულწილად გაუჩნდათ პროფესიული რეალიზებისა და აღიარების განცდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დამხმარე მასწავლებელი, მასწავლებელთა თანამშრომლობა, მშობლებთან კომუნიკაცია, მასწავლებელთა ეფექტურობა.

Abstract

Action research presented below has been conducted in one of the private schools of Tbilisi in order to enhance the efficiency of teacher assistants. In school a teacher assistant is not considered as a subject teacher but is responsible for the safety of the pupils as well as their personal, physical and social development. Teacher assistants play a big role in increasing students' involvement rate regarding academic process. Teacher assistants have the duty to maintain effective communication with students' parents too.

Action research covered the following steps: identifying the problem, planning and implementing interventions and data analysis. Mixed research method has been employed including quantitative and qualitative approaches. Within the process of the research comprehensive interviews were held with the members of school administration, focus groups with main teachers and assistant teachers, semi-structured interview with primary school main teachers and assistant teachers as well with parents.

Several types of problems have been stressed – staff retention and attrition, teacher assistants' defective work descriptive document, inconsonance with colleagues and ineffective form of communication with parents.

In order to resolve the problem in accordance with research commission certain interventions were planned and implemented. Redoing the same research shows that the interventions have led to better results: teacher assistants' work descriptive document has been reviewed, the rate of their involvement in the lessons increased, cooperation between the teachers has been improved, teacher assistants developed the competence related to managing the class and behavior issues and the communication between the parents and teacher assistants has become permanent and a lot more efficient. The most important thing is that, their job satisfaction escalated and they started to feel recognized and professionally realized.

Key words: teacher assistant, teacher cooperation, communication with parents, teacher efficiency.